ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და გეოლოგიური მონაცემების ადრეული გაფრთხილებებისთვის გამოყენების ეფექტიანობის აუდიტი

რა შეისწავლა აუდიტმა	რა მიგნებები აქვს აუდიტს	
ადრეული გაფრთხილების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტები	▸ არ არის შემუშავებული/განახლებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია, რაც ადრეული გაფრთხილების სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას აფერხებს ▸ განახლებას საჭიროებს სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა	
ადრეული გაფრთხილების სისტემის სუბიექტების როლები და პასუხისმგებლობები	▸ არ არსებობს ინტეგრირებული ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს ადრეული გაფრთხილების სისტემის სუბიექტების როლებს, პასუხისმგებლობებს და მაკოორდინირებელ უწყებას ▸ არ არის განსაზღვრული ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების და რისკების იდენტიფიცირებაზე, ანალიზსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი უწყება	▸ არ არის განსაზღვრული გარემოსთან დაკავშირებული სტრესების და კატასტროფების პროგნოზირების და ადრეული გაფრთხილების უზრუნველყოფის ამოცანაზე პასუხისმგებელი უწყება ▸ არ არსებობს ბუნებრივი კატასტროფების, საფრთხეებისა და რისკების შეფასების საინფორმაციო ბაზა
ექსპერტებთან თანამშრომლობა	▸ არ არსებობს სამეცნიერო და ტექნიკურ ექსპერტებთან თანამშრომლობის, ინფორმაციის მიმოცვლის პროცესების მომწესრიგებელი დოკუმენტები, რის გამოც იკარგება სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის და სხვა რესურსების გამოყენების შესაძლებლობა ადრეული გაფრთხილების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის	
მუნიციპალიტეტების მიერ ადრეული გაფრთხილებისთვის მონაცემების გამოყენება	▸ გაუმართავია ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის კომუნიკაცია და კოორდინაცია გარემოს ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციების შესრულების მიზნით ▸ მუნიციპალიტეტებს არ აქვთ შემუშავებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმები	▸ არ არსებობს ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მონაცემების ადრეული გაფრთხილებებისთვის გამოყენების ფორმალიზებული და თანმიმდევრული პრაქტიკა
მოსახლეობის ადრეული გაფრთხილების პროცესი	▸ არ არსებობს ადრეული გაფრთხილების შეტყობინებების დაინტერესებულ პირებამდე და რისკის ქვეშ მყოფ ადამიანებამდე მიღწევის გამართული და საიმედო პროცესი	▸ არ არსებობს ცენტრალიზებული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემა, საგანგებო სიტუაციების სატელეკომუნიკაციო გეგმა ადრეული გაფრთხილების შეტყობინებების გასავრცელებლად

გაიცა რეკომენდაციები, რომლის განხორციელების შედეგად

- **შემუშავდება ადრეული გაფრთხილების სისტემის ინტეგრირებული და ყოვლისმომცველი ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ადრეული გაფრთხილების სისტემის მონაწილე სუბიექტების როლებს, პასუხისმგებლობებს, უწყებებს შორის თანამშრომლობის და კოორდინირების მექანიზმებს.**
- **ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი უზრუნველყოფს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესის ორგანიზებას და კოორდინაციას.**